Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#6, ივლისი, 2018

გეოეკონომიკა და გეოპოლიტიკა: შედარებითი ანალიზი სამხრეთ კავკასიის მაგალითზე

ქეთევან თურმანიძე
ირაკლი გაბიძაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: qturmanidze1@gmail.com
irakli.gabidzashvili@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გეოეკონიმიკისა და გეოპოლიტიკის ურთიერთობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები და თავისებურებანი განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მაგალითებზე დაყრდნობით. რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებისა და პერსპექტივების შესწავლა, რომელიც სამხრეთ კავკასიის წინაშე დგას. კერძოდ, განხილული იქნება რა გავლენა იქონია ამ ქვეყნების გეოპოლიტიკამ და გეოეკონომიკამ მათ ურთიერთობებზე. რა თქმა უნდა, შევეხებით არსებული ტერიტორიული კონფლიქტების გავლენას მოცემული სამი ქვეყნის გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაზე, შესაბამისად, გავაანალიზებთ რუსეთის ფაქტორს რეგიონში. ამასთან ერთად, ვისაუბრებთ რეგიონის სატრანსპორტო მნიშვნელობაზე. დამატებით, შევისწავლით რეგიონისთვის ევროინტეგრაციის მნიშვნელობასა და პერსპექტივებს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კუთხით.

საკითხის აქტუალობა: ერთის მხრივ, მოცემული თემის აქტუალობას განაპირობებს თვითონ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბები. კავკასია ბუნებრივი თვალსაზრისით, პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა. მეორეს მხრივ კი, დიდი რეგიონალური (რუსეთი, ირანი, თურქეთი) და შორეული (აშშ) სახელმწიფოების დაინტერესება უფრო მნინვნელოვანს ხდის ამ რეგიონს. ესაა დიდი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოთამაშეების ინტერესების ერთგვარი გადაკვეთის ველი. ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ხდება საკითხის გაანალიზება. ყურადღება დაეთმობა ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს, ვინაიდან მოცემული თემის შესწავლა ხდება მომიჯნავე სოციალური მეცნიერებების ერთგვარი სინთეზით, როგორებიცაა: გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა, პოლიტოლოგია და ისტორია. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ენერგომატარებლების შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას კასპიის აუზიდან ევროპაში, შუა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებიდან დასავლეთის მიმართულებით, ამიტომ, რეგიონში საერთაშორისო სავაჭრო წესების დამკვიდრებისა და ეკონომიკური რეფორმების გატარების მნიშნველობა საკმაოდ დიდია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის გეოპოლიტიკას. აშკარაა, რომ ამ ქვეყნების გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოცემულობები წინააღმდეგობრივია, მაგალითად, ერთის მხრივ, საქართველოს და აზერბაიჯანს სურთ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, მისი ბაზრის ათვისება, თუმცა მათივე ურთიერთობები რუსეთთან საერთაშორისო თუ რეგიონულ პოლიტიკურ არენაზე საკმაოდ დაძაბულია.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა, ევროკავშირი, სატრანსპორტო მნიშვნელობა, ენერგომატარებლები.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში გეოეკონიმიკისა და გეოპოლიტიკის ურთიერთობასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები და თავისებურებანი განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მაგალითებზე დაყრდნობით. რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობის ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებისა და პერსპექტივების შესწავლა,

რომელიც სამხრეთ კავკასიის წინაშე დგას. კერძოდ, განხილული იქნება რა გავლენა იქონია ამ ქვეყნების გეოპოლიტიკამ და გეოეკონომიკამ მათ ურთიერთობებზე. რა თქმა უნდა, შევეხებით არსებული ტერიტორიული კონფლიქტების გავლენას მოცემული სამი ქვეყნის გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაზე, შესაბამისად, გავაანალიზებთ რუსეთის ფაქტორს რეგიონში. ამასთან ერთად, ვისაუბრებთ რეგიონის სატრანსპორტო მნიშვნელობაზე. დამატებით, შევისწავლით რეგიონისთვის ევროინტეგრაციის მნიშვნელობასა და პერსპექტივებს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კუთხით.

საკითხის აქტუალობა: ერთი მხრივ, მოცემული თემის აქტუალობას განაპირობებს თვითონ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მასშტაბები. კავკასია ბუნებრივი თვალსაზრისით, პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა. მეორე მხრივ კი, დიდი რეგიონალური (რუსეთი, ირანი, თურქეთი) და შორეული (აშშ) სახელმწიფოების დაინტერესება უფრო მნინვნელოვანს ხდის ამ რეგიონს. ესაა დიდი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მოთამაშეების ინტერესების ერთგვარი გადაკვეთის ველი.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. არსებულ მასალებზე დაყრდნობით ხდება საკითხის გაანალიზება. ყურადღება დაეთმობა ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს, ვინაიდან მოცემული თემის შესწავლა ხდება მომიჯნავე სოციალური მეცნიერებების ერთგვარი სინთეზით, როგორებიცაა: გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა, პოლიტოლოგია და ისტორია.

მოსალოდნელი შედეგები: ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ენერგომატარებლების შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას კასპიის აუზიდან ევროპაში, შუა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებიდან დასავლეთის მიმართულებით, ამიტომ, რეგიონში საერთაშორისო სავაჭრო წესების დამკვიდრებისა და ეკონომიკური რეფორმების გატარების მნიშნველობა საკმაოდ დიდია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის გეოპოლიტიკას. აშკარაა, რომ ამ ქვეყნების გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოცემულობები წინააღმდეგობრივია, მაგალითად, ერთი მხრივ, საქართველოს და აზერბაიჯანს სურთ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, მისი ბაზრის ათვისება, თუმცა მათივე ურთიერთობები რუსეთთან საერთაშორისო თუ რეგიონულ პოლიტიკურ არენაზე საკმაოდ დაძაბულია.

სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის შეფასება

საბჭოთა კავშირის ეპოქაში სამხრეთ კავკასია *ამიერკავკასიად* იწოდებოდა, რასაც პოლიტიკური შეფერილობა ჰქონდა, ვინაიდან იგი გამოხატავდა მდებარეობას პოლიტიკური ცენტრის მიმართ და შეესებამებოდა რუსულ ტერმინს „закавказье“, რომელიც პოზიციური ხასიათისაა და გულისხმობს იმ ტერიტორიას, რომელიც რუსეთისათვის კავკასიონს გადაღმაა (за кавказом), ხოლო საქართველოსთვის - კავკასიონის გადმოღმა (ამიერ)[1]. რაც შეეხება ტერმინს *სამხრეთ კავკასია,* იგი პოლიტიკურად შედარებით ნეიტრალური ტერმინია. მისი გამოყენება

[1] Thomas de Waal. 2010. *The Caucasus an Introduction*, Oxford University Press, pg. 7

სამეცნიერო/აკადემიურ ლიტერატურასა და ოფიციალურ დოკუმენტებში 1991 წლიდან იწყება, როდესაც სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ.

სამხრეთ კავკასია მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთით შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის. სამხრეთი კავკასიას განეკუთვნება კავკასიონის სამხრეთი კალთის უმეტესი ნაწილი, კოლხეთისა და მტკვრის მთათაშორისი ბარი, სამხრეთი კავკასიის მთიანეთი, თალიშის მთები და ლენქორანის დაბლობი.

რეგიონის გეოგრაფიულმა მახასიათებლებმა განაპირობა მისი დამახასიათებელი ნიშნები, ეთნიკური მრავალფეროვნება, ერები შერეულად, კომპაქტურად, ცხოვრობენ ერთ სივრცეში, რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 15 მილიონს შეადგენს[2]. სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები მთავარ ეთნიკურ ჯგუფებს შეადგენენ.

სამხრეთ კავკასიის ორმა ბუნებრივმა საზღვარმა, შავმა და კასპიის ზღვებმა, რეგიონი ვაჭრობისთვის მიმზიდველი გახადა. ევროპა-აზიის გზაგასაყარი, აბრეშუმის გზა, რომელიც ბაქოსა და თბილისზე გადის - ეს არასრული სიაა, რაც რეგიონის სავაჭრო მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ისტორიულად, სამხრეთ კავკასია წარმოადგენდა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების დაინტერესების ობიექტს, როგორებიცაა აშშ, რუსეთი, ირანი და თურქეთი. უფრო ადრე ამ რეგიონში რომი, არაბთა სახალიფო, ბიზანტია და სპარსეთი ბატონობდნენ. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონს აქვს გამორჩეული სატრანზიტო ფუნქცია, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მის გეოეკონომიკურ სიმდიდრედ. ამავდროულად, იგი დატვირთულია შიდა ტერიტორიული კონფლიქტებით აფხაზეთის, ე.წ სამხრეთ ოსეთისა და ყარაბაღის სახით. ყოველივე ამის გამო, როდესაც საუბარია რეგიონის განვითარების პერსფექტივებზე, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სრულფასოვანი და აუცილებელი კომპონენტის ფუნქციის შეძენა დაეხმარება ამ რეგიონის გადარჩენასა და მდგრად განვითარებას.[3] ამის მიღწევის ერთვარ გასაღებს კი წარმოადგენს მისი სატრანსპორტო შესაძლებლობების ათვისება, რაც გულისხმობს, ენერგომატარებლების შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას კასპიის აუზიდან ევროპაში, შუა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებიდან დასავლეთის მიმართულებით.

გეოპოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის რეგიონში წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია საკმაოდ მრავალფეროვანია, გარდა გეოგრაფიულად აქ მდებარე სახელმწიფოებისა, სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით რეგიონს მიღმა მოთამაშე აქტორებს.

აზერბაიჯანს, მიუხედავად შეზღუდული ტერიტორიული მასშტაბებისა და მოსახლეობის რაოდენობის უმნიშვნელობისა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თავისი ენერგეტიკული რესურსებით, საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია. დამოუკიდებელი აზერბაიჯანი, რომელიც

[2] იხ. გაეროს მოსახლეობის განყოფილების სტატისტიკა https://esa.un.org/unpd/wpp/DataQuery/

[3] არჩილ გეგეშიძე. „გეოპოლიტიკა“. 1997. თბილისი.

დასავლეთის ბაზრებთან იმ ნავთობსადენის ხაზებითაა დაკავშირებული, რომლებიც გაყვანილია რუსეთის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, ხდება დიდი მაგისტრალი ენერგეტიკით მდიდარი შუა აზიის რესპუბლიკების მოწინავე და ენერგომხმარებელ ეკონომიკებთან დასაკავშირებლად.

აღსანიშნავია, რომ ირანისთვის აზერბაიჯანის რესპუბლიკა ერთგვარი „უხერხული“ მეზობელია[4]. მიუხედავად რელიგიურ-კულტურული სიახლოვისა, ვერ ხერხდება კასპიის ზღვის ფსკერის გაყოფა (ნავთობისა და გაზის საბადოები აზერბაიჯანის მიერ თავისად გამოცხადებულ სექტორში მდებარეობს). ამასთან ერთად, ჩრდილოეთით ორჯერ მეტი აზერბაიჯანელი (ზოგიერთი შეფასებით, დაახლოებით 20 მილიონი კაცი) ცხოვრობს, ვიდრე თვით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე[5]. ეს არის ერთ-ერთ მიზეზი იმისა, რომ ბაქოს არაოფიციალურ წრეებში ირიდენტისტული იდეები ტრიალებს მდ. არაქსის სამხრეთით მდებარე ირანის აზერბაიჯანის მიმართ[6]. არსებობს „ორი აზერბაიჯანის გაერთიანების იდეა. ამგვარი ვითარება აიძულებს ირანს შიშით ადევნოს თვალი მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ აზერბაიჯანელთა შორის იმ პოტენციურ სეპარატიზმს, რომელმაც ირანში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ერი მუსლიმანურია, აზერბაიჯანის სუვერენული სტატუსისადმი გაორებული დამოკიდებულება შეიძლება შექმნას. ამის გამო აზერბაიჯანი, მისი დასავლეთთან ურთიერთობების შეზღუდვის მიზნით, იქცა როგორც რუსეთის, ისე ირანის მხრიდან ზეწოლის ობიექტად. გარდა ამისა, აზერბაიჯანს აქვს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა მეზობელ სომხეთთან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო, რაც მრავალგზის გამოვლინდა სისხლისმღვრელ შეტაკებებსა და ომში. კონფლიქტის სიღრმეებში განგებ არ შევალთ ვინაიდან, მოცემული თემა არ ეძღვნება ამ კონფლიქტის დეტალურ ანალიზს, თუმცა იგი დაგვეხმარება ლოგიკური გადასვლა გავაკეთოთ სომხეთის გეოპოლიტიკაზე.

თანამედროვე სომხეთს შეგვიძლია ვუწოდოთ რუსეთის საყრდენი პუნქტი სამხრეთ კავკასიაში და იგი რუსეთის ერთგული მოკავშირეა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სომხეთს არც ზღვაზე გასასვლელი აქვს, აზერბაიჯანთან კონფლიქტშია მთიანი ყარაბაღის გამო, ხოლო თურქეთს თავის ისტორიულ მტრად მიიჩნევს. ამდენად, სომხეთი იძულებულია უპირატესობა რუსეთს მიანიჭოს. 1997 წელს რუსეთთან ხელმოწერილი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის შეთანხმების საფუძველზე[7] სომხეთი, გარკვეულწილად, რუსეთის სამხედრო პროტექტორატი გახდა, გიუმრის სამხედრო ბაზა დაცვისა და მოსკოვის რეგიონში ყოფნის მთავარ ბერკეტად იქცა, თუმცა, ამავდროულად, სომხეთი ცდილობდა რუსეთის გავლენის გაწონასწორებას, რათა არ მოქცეულიყო მის მთლიან დაქვემდებარებაში, რისთვისაც იყენებდა აშშ-ს ფაქტორს და ეს პოლიტიკა ცნობილია „კომპლემენტარიზმის“ სახელით. 2005 წელს სომხეთმა ნატოსთან თანამშრობლობა დაიწყო და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას შეუერთდა[8]. ეს პროცესი გაგრძელდა 2014 წლამდე, მანამ

[4] რევაზ გაჩეჩილაძე. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2014. გვ. 732.

[5] https://web.archive.org/web/20120203093100/https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ir.html ბოლო ნახვა 5 ივლისი. 2018

[6] რევაზ გაჩეჩილაძე. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2014. გვ. 732.

[7] https://jamestown.org/program/armenia-signs-military-alliance-with-russia/ ბოლო ნახვა 10 ივლისი, 2018.

[8] https://www.nato.int/cps/ic/natohq/topics_48893.htm ბოლო ნახვა 10 ივლისი, 2018.

სანამ რუსეთს მოთმინების ფიალა არ აევსო და დაიწყო სომხეთის კვლავ მისკენ სრულად შემობრუნების პოლიტიკა და იმავე წელს მოსკოვში მყოფმა სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ოფიციალურად განაცხადა ევრაზიულ კავშირთან მიერთების შესახებ[9]. ეს გეოპოლიტიკური არჩევანი ორ ფაქტორს ეფუძნება - ეკონომიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. მთავარი კი ყარაბაღის საკითხია და სომხეთი საკუთარი და ყარაბაღის უსაფრთხოების გარანტიას რუსეთში ხედავს.

რაც შეეხება საქართველოს, იგი აშკარად ცდილობს გახდეს კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი რეგიონში. მაგალითისთვის, „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ ბიძგი მისცა ჩვენს რეგიონში სტაბილურობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრებისთვის სერიოზული მოძრაობის დაწყებას[10]. არაერთგზის გაჟღერებულა ე.წ „ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა, რაც ასევე საქართველოს ამბიციებზე მიუთითებს. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და მახასიათებლები ჭრელია. მდიდარია სასმელი წყლითა და ჰიდრორესურსებით, აქვს ზღვაზე გასასვლელი და მრავალფეროვანი კლიმატი და რაც მთავარია იდეალური სატრანსპორტო - გეოგრაფიული მდებარეობა, რაც განაპირობებს მის ფუნქციასაც და საქართველოთი დაინტერესებას მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან. ამავდროულად, საქართველო იმყოფება ტერიტორიულ კონფლიქტში რუსეთთან, რაც ქვეყნის პოსტ-საბჭოთა გეოპოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რუსეთი ცდილობს გავლენის სფეროების საბჭოთა კავშირის დროინდელ ფარგლებში შენარჩუნებას. შესაბამისად, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციული მისწრაფებები ეწინააღმდეგება რუსეთის თანამედროვე გეოპოლიტიკას, რასაც არაერთგზის უპასუხა აგრესიული ქმედებებით.

ამის პარალელურად, სამხრეთ კავკასიაში გამოკვეთილია აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესები და ეს მხოლოდ რუსეთის გავლენის შესუსტებას არ გულისხმობს, მიზნები უფრო ფართოა, პირველ რიგში გეოგრაფიულად. აშშ სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ მდებარეობას ირანზე ზეწოლის გაძლიერებისა და ავღანეთში საკუთარი ოპერაციების მხარდასაჭერად იყენებს. მაგალითად, ვაშინგტონი ბაქოს აეროპორტს ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების საწვავით შევსებისთვის იყენებს. აღსანიშნავია, რომ აშშ ასევე ყურადღებით აკვირდება ამ რეგიონში ნავთობისა და გაზის მარაგებს, რომელსაც შეუძლია შეამციროს მისი დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ენერგორესურსებზე.

გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ურთიერთკავშირი

უკვე ვახსენეთ, რომ სამხრეთ კავკასიაში გვაქვს ტერიტორიული კონფლიქტები და თუ მათ დავაკვირდებით აშკარად დავინახავთ გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების გადაკვეთას. რეგიონში მოთამაშე ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური ძალა რუსეთი ეხმარება არაღიარებულ და ოკუპირებულ რეგიონებს ეკონომიკურად, რაც არ ემთხვევა სამხრეთ კავკასიის ორი მთავარი გეოეკონომიკური მოთამაშის (საქართველო, აზერბაიჯანი) ინტერესებს. ცხადია, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება ოკუპირებული და არაღიარებული

[9] "Договор о присоединении Республики Армения к Договору о Евразийском экономическом союзе от 29 мая 2014 года (Минск, 10 октября 2014 года)". http://www.customs-code.ru/pravovbaza/18429-dogovor-armბოლო ნახვა 8 ივლისი, 2018

[10] გეგეშიძე არჩილ, „გეოპოლიტიკა“, 1997, თბილისი.

ტერიტორიების ეკონომიკური აღორძინებისკენ, ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს (ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას).[11]

ეროვნული დონის რეგიონულ აქტორებთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო ღია ხასიათს იძენს სერიოზულ გეოეკონომიკურ მოთამაშეთა კონფლიქტი, ვგულისხმობთ აშშ-ს, რუსეთს, ირანსა და თურქეთს. ეს კონფლიქტი გაშლილია არაერთი მიმართულებით და სხვადასხვა სფეროსა და მიმართულებას მოიცავს, თუმცა ამ დაპირისპირებაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ენერგეტიკული რესურსებისთვის ბრძოლას, რაც რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული, რომელიც მას ნავთობისა და გაზის სატრანზიტო დერეფნის როლს, ფუნქციას აძლევს.

„რუსეთმა მიზნად დაისახა არა მხოლოდ დაიქვემდებაროს ამ რესურსების ექსპლოატაცია საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, არამედ მაქსიმალურად შეეცადოს, არ დაუშვას სამხრეთ კავკასიის ორი „ურჩი“ სახელმწიფო მსოფლიო შემოსავლებისა და განაწილების პროცესში“ (კვინიკაძე: 2010:7).

ამ მიზნის მიღწევისთვის რუსეთი უშუალოდ იყენებს თავის სამხედრო შესაძლებლობებს. მაგალითად, სანამ 2008 წელს აგვისტოში ომი დაიწყებოდა, იმავე წლის 1 ივნისს რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გუდაუთის რაიონში ნავთობის საძიებო სამუშაოების დაწყების შესახებ. სამი თვის თავზე რუსეთს უკვე ოკუპირებული ჰქონდა ე.წ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი და დაიწყო მუშაობა მათი დამოუკიდებლობის აღიარებისთვის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ეს და სხვა მსგავსი აგრესიული ქმედებები შეგვიძლია დავუკავშიროთ რუსეთის შედარებით ახალ გეოპოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც „ნეოევრაზიანიზმის“ სახელითაა ცნობილი, რომლის ძირითადი იდეა რუსეთის სამხრეთით გაფართოებაში მდგომარეობს, რაც თავისთავად გულისხმობს სამხრეთ კავკასიაზე კონტროლს.

როდესაც ვსაუბრობთ გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის ურთიერთკავშირზე სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად ერთ მხარეს დგას რუსეთი და მეორე მხარეს კი დასავლეთი, მათი წინააღმდეგობები კი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ გამოიხატება. რუსეთი ყველანაირად ცდილობს ჩაშალოს საქართველო - აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარება, რაშიც წარმატებით იყენებს უკვე ნახსენებ ტერიტორიულ კონფლიქტებს. ბუნებრივია ისმის კითხვა რატომ? იმ შემთხვევაში თუ საქართველო და აზერბაიჯანი შემდგარი სახელმწიფოები იქნებიან, ძლიერი ეკონომიკითა და მმართველი ინსტიტუტებით, მაშინ დასავლეთი შეძლებს თვითონ გახდეს გეოპოლიტიკური ლიდერი სამხრეთ კავკასიაში და მოახდინოს რუსეთის გაძევება რეგიონიდან. სამხრეთ კავკასიის გაკონტროლებით მიღებული სარგებელი და სიკეთეები კი იმდენად დიდი და ბევრია, რომ რუსეთი მას უბრძოლველად არ დათმობს. საუბარია ჩრდილო - სამხრეთის სახმელეთო სივრცის, ევრაზიის კომუნიკაციის ძირითადი ხაზებისა და ცენტრალურ აზიაში არსებულ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების კონტროლზე. სწორედ ამიტომაა, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი მუდმივი საფრთხის წინაშე დგას. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონმა დაიწყო გეოეკონომიკური მნიშვნელობის შეძენა, რომელიც სცდებოდა საკუთრივ კავკასიის რეგიონის ფარგლებს. ამის

[11] კვინიკაძე გიორგი, გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები, 2014 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნათელი მაგალითებია გეოეკონომიკური პროექტი ტრასეკა (TRACECA),[12]. პარალელურად, იქმნებოდა გეოეკონომიკური დოქტრინები „აბრეშუმის გზის სტრატეგია - 1999“; „შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობა - 1993. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის ფონზე, რეგიონში განხორციელდა ცალკეული პროექტები: ბაქო - სუფსის ნავთობსადენი, ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის გაზსადენი და ტრანსკასპიური გაზსადენი - თურქმენეთი - აზერბაიჯანი - საქართველო - თურქეთი.[13] აღნიშნული გეოეკონომიკური პროექტები დაუპირისპირდა რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ვინაიდან ამ პროექტების განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად შემცირდა რუსეთსა და ირანზე დამოკიდებულება. რუსეთის ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩაეშალა ბაქო - სუფსის პროექტი.[14] თავდაპირველად, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი უნდა გატარებულიყო ჩრდილო - კავკასიით ნოვოროსიისკამდე, თუმცა საბოლოოდ, მილსადენი გავიდა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არ იყო მხოლოდ საქართველოს და ქართველი დიპლომატების დამსახურება. ამერიკის შეერთებულ შტატების, პირადად ჰეიდარ ალიევისა და თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

უნდა აღნიშნოს, რომ ნახსენები გეოეკონომიკური პროექტები მუდმივი გამოწვევებისა და საფრთხის წინაშე დგას. მაგალითად, 2013 წლის სექტემბერში საქართველოში საოკუპაციო გამყოფ ხაზთან, გორის რაიონის სოფ. ყარაფილაში, ოკუპირებულ სოფ. ორჭოსანსა და ქართული მხარის კონტროლირებად სოფ. ფერმას შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარე საზღვრის დაფიქსირებისას ბაქო-სუფსას მილსადენი ოკუპირებულ მხარეს მოხვდა, თუმცა სეიტუაცია მალევე გამოსწორდა.

დღემდე რუსეთ-სომხეთის სახმელეთო გზის არარსებობის გამო, მოსკოვის მოკავშირე სომხეთში არსებული რუსეთის ფედერაციის გიუმრის სამხედრო ბაზის ერთ-ერთ მოვალეობად, მეზობელი ქვეყნებზე ძალისმიერი ზემოქმედება რჩება, ასევე გარკვეულ საფრთხეს უქმნის დასავლური ენერგომარშრუტების უსაფრთხოებას.

სამხრეთ კავკასიის ინფრასტრუქტურული პროექტებიდან სომხეთი დისტანცირებულია. სომხეთი ვერ გახდა სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო ინფრასტრუქურის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ–დასავლეთ კავშირებს აძლიერებს. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ რუსეთი ხელს უწყობს დაძაბულობას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბახის ტერიტორიის გარშემო, რის გამოც ეს ორი მეზობელი სახელმწიფო გადაუჭრელ კონფლიქტშია ერთმანეთთან. სომხეთს ასევე არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთთან და სატრანზიტო დერეფნის ორ ძირითად მოთამაშესთან გართულებული ურთიერთობების გამო ვერ ერთვება კასპიის ზღვის ენერგო რესურსების სატრანზიტო გადაზიდვებში.

[12] http://www.traceca-org.org/fileadmin/fm-dam/TAREP/30xh/30xh2.pdf ბოლო ნახვა 5 ივლისი. 2018.

[13] Yenikeyeff, Shamil (November 2008). "Kazakhstan's Gas: Export Markets and Export Routes" Oxford Institute for Energy Studies. ხელმისაწვდომია: https://www.oxfordenergy.org/wpcms/wp-scontent/uploads/2010/11/NG25-KazakhstansgasExportMarketsandExportRoutes-ShamilYenikeyeff-2008.pdf

[14] http://forbes.ge/news/187/evraziis-energosatransporto-derefani-da-saqarTvelos-politikuri-roli ბოლო ნახვა 5 ივლისი. 2018

ევროკავშირი როგორც გეოეკონომიკური აქტორი

სამხრეთ კავკასიაში, გარდა სახელმწიფოებრივი და ეროვნული სამთავრობო აქტორებისა, არანაკლები გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ინტერესები აქვს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციულ გაერთიანებებს. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა ევროკავშირის გეოეკონომიკური როლი მოცემულ რეგიონში.

ევროკავშირის აქტიურობა რეგიონში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის გამოხატული. ფინანსურ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ევროკავშირი TACIS-ის პროგრამა და ECHO-ს პროგრამების მეშვეობით ახორციელებდა 1992 წლიდან მოყოლებული.[15] მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და რეგიონის სამივე ქვეყანას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA). უფრო მეტიც, ევროპარლამენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის (CFSP) სტრატეგიულ რეგიონს და შუა აზიისაკენ ნამდვილ ჭიშკარს წარმოადგენს დაგვანახა, რომ ევროკავშირი მნიშვნელობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის განმტკიცებას.[16]

2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ამ შეთანხმების პოლიტიკური ნაწილი. საქართველომ და ევროკავშირმა ერთობლივად განაცხადეს, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა. ჩვენ კი ვიცით, რომ ნებისმიერი ევროპული ქვეყანა შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი. სამხრეთ კავკასიის ეს ქვეყანა (საქართველო) გადავიდა ურთიერთობის ისეთ ეტაპზე, რომელიც გულისხმობს ინტეგრაციას, ე.ი ეს არის ინტეგრაციული ხელშეკრულება, განსხვავებით აქამდე არსებული შეთანხმებებისგან, რომლებიც მხოლოდ თანამშრომლობის ხელშეკრულებები იყო.

ასოცირების ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი არის ის, რომ საქართველო და ევროკავშირი ქმნიან თავისუფალი ვაჭრობის არეალს, ვგულისხმობთ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა მისი გავლენა საქართველოს ეკონიმიკის ზრდასა და განვითარებაზე, დიდწილად, ქართულ მხარეზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ რიგი პოლიტიკური საკითხებისა, როგორებიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, საქართველოში არსებული არალეგიტიმური {რუსეთის} სამხედრო წარმომადგენლობის მიუღებლობა, დევნილების დაბრუნების მნიშვნელობა, რომლებიც აქამდე პოლიტიკურად იყო დეკლარირებული, იურიდიულ ჩარჩოებში მოექცა და დაფიქსირდა ასოცირების ხელშეკრულებაში.

ევროკავშირი რეგიონის სამივე სახელმწიფოსთან კეთილგანწყობაშია, თუმცა საქართველოსთან გამოკვეთილად აქტიური ურთიერთობები აქვს, ვინაიდან მას გაცხადებული აქვს თავისი ევროპული ინტეგრაციის კურსი, რასაც ვერ ვიტყვით სომხეთსა და აზერბაიჯანზე.

[15] https://ec.europa.eu/echo/ ბოლო ნახვა 5 ივლისი. 2018

[16] http://www.europarl.europa.eu/jointstatement/ruparliament/htm ბოლო ნახვა 5 ივლისი. 2018

2018 წლის იანვარში გამოქვეყნებული კვლევა[17], რომელიც ევროპული ინტეგრაციის გზას ასახავს და მოიცავს პერიოდს 2015 წლის მარტიდან 2016 წლის დეკემბრამდე, ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის ხარისხი და ურთიერთობების დინამიკა სხვადასხვაა.

ქვეყნების კვლევა ორი კრიტერიუმით ფასდებოდა. პირველი - „დაახლოება“ (დემოკრატია და ადამიანის უფლებები, მდგრადი განვითარება, ევროკავშირთან ინტეგრაცია). მეორე კრიტერიუმი - „ურთიერთკავშირი“ (საერთაშორისო უსაფრთხოება, პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა, სექტორების კოოპერაცია და სავაჭრო თანამშრომლობა, ევროპაში ქვეყნის მოქალაქეები).

ევროპასთან ინტეგრაციის ყველაზე მაღალი ხარისხი აქვს საქართველოს ურთიერთკავშირის ნაწილში (იხ. ცხრილი N1), ხოლო ყველაზე დაბალი კი აზერბაიჯანს, რადგან საქართველო ყველაზე აქტიურად ახორციელებს უწყებათაშორის დიალოგს ევროკავშირის ინსტიტუტებთან სხვადასხვა საკითხზე, ხოლო აზერბაიჯანში კი ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით. საქართველო მხოლოდ 0.1 ქულით ჩამორჩება სომხეთს „დაახლოების“ სფეროში. საქართველოსთვის აღნიშნული დაბალი მაჩვენებელი დიდწილად განპირობებული იყო 2015-2016 წლებში მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობის გარშემო მიმდინარე მოვლენებით, კერძოდ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმით, რასაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი.[18]

ცხრილი N1 ევროპასთან ინტეგრაციის ინდექსი 2015-2016 წლების მდგომარეობით

	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო
ურთიერთკავშირი	0.47	0.42	0.66
დაახლოება	0.68	0.56	0.67

წყარო: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი 2015-2016. http://eap-csf.eu/wp-content/uploads/index-2015-6-web.pdf

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში კვლავ სუსტია რეგიონის ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხი, ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან რეგიონში ეროვნულ დონეებზეც დაბალია ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. საქართველო - აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეულ იმედებს იძლევა ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, ტერიტორიულ კონფლიქტების ბრალიცაა ეს, ამიტომ, მნიშვნელოვანია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, რომელიც შეცვლის არსებულ კონფრონტაციულ სიტუაციას.

არსებულ რეგიონულ კონტექსტის გათვალისწინებით, კასპიის ზღვის ენერგორესურსების მსოფლიო ბაზრებამდე მისატანად მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს

[17] http://eap-csf.eu/wp-content/uploads/index-2015-6-web.pdf

[18] აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი 2015-2016, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, 2017 გვ.44

სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო პოტენციალმა.. რეგიონის ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ დემოკრატიული მმართველობა და დემოკრატიული რეფორმები, მიიღონ პოლიტიკური მხარდაჭერა ენერგეტკული ბაზრის მნიშვნელოვანი წევრი ქვეყნებისგან (ევროკავშირის ქვეყნები აშშ).

დღეისათვის აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა კვლავაც შორეულ მიზანს წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ წლების განმავლობაში ევროკავშირისა და აშშ–ისგან მიღებული დახმარების მიუხედავად, სერიოზული გამოწვევები რჩება როგორც ამ ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ისე მათი დემოკრატიის და სტაბილური განვითარების მიმართაც. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიერთება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით.

ბიბლიოგრაფია:

ბჟეზინსკი ზბიგნევ - „დიდი საჭადრაკო დაფა“, თბილისი, „არტანუჯი“, 2014, გვ.190, 210

გეგეშიძე არჩილ - „გეოპოლიტიკა“, თბილისი. 1997 წელი; გვ. 237, 243, 244.

კვინიკაძე გიორგი - „გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014. გვ.68, 69, 76.

კოგანი იუჯინ, „ექსპერტის აზრი“ „სომხეთის სამხედრო ძალა და რუსეთ - სომხეთის ურთიერთობები“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2015, გვ.17

FORBES. 2014. „ევრაზიის ენერგოსატრანსპორტო დერეფანი და საქართველოს პოლიტიკური როლი“, Online. Home Page On-line. http://forbes.ge/news/187/evraziis-energosatransporto-derefani-da-saqarTvelos-politikuri-roli ბოლო ნახვა 20 თებერვალი, 2017;

EUROPARL.EUROPA. 2015. “South Caucasus” Online. Home Page On-line. http://www.europarl.europa.eu/jointstatement/ruparliament/htm ბოლო ნახვა 15 თებერვალი, 2017.

EUROPARL.EUROPA. 2014. “Implementation of the European Neighborhood Policy in 2014” Joint Communication To The European Parliament, The Council, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions; Brussels, 20.03.2014. PG.38